

**ს.პ.ს. სკოლა-ლიცეუმი პრომეთეს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა**  
**2023-2030 სასწ.წლები**

### 1. შესავალი

სკოლა დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებას, რომელიც ემყარება:

- ❖ საქართველოს კონსტიტუციას;
- ❖ ბავშვთა უფლებათა კონვენციას;
- ❖ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს;
- ❖ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
- ❖ სკოლის წესდებას;
- ❖ სკოლის შინაგანაწესს;
- ❖ ეროვნულ სასწავლო გეგმას და სხვა სამართლებრივ აქტებს;
- ❖ მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირების შედეგებს;
- ❖ სკოლის წინა წლების მუშაობის SWOT ანალიზს.

სკოლის სტრატეგიული გეგმა ძირითადი ჩამონათვალია სკოლის საქმიანობებისა და გადაწყვეტილებებისა, რომლებიც სკოლას მისიის შესრულებაში, წინსვლაში, გაუმჯობესებასა და ხარისხის ამაღლებაში უნდა დაეხმაროს.

### 2. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

სპს „სკოლა-ლიცეუმი პრომეთეს“ მისია ეფუძნება ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს.

სკოლის მისიაა აღზარდოს:

- ❖ მოაზროვნე;
- ❖ განათლებული;
- ❖ თავისუფალი;
- ❖ კონკურენტუნარიანი;
- ❖ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე;
- ❖ ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარით აღჭურვილი მოქალაქე.

სკოლის ხედვა:

ჩვენი სურვილია,

სკოლა იყოს რესპუბლიკაში გამორჩეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება,

მოთხოვნის შესაბამისად გავფართოვდეთ და ფილიალები გავხსნათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

გავზარდოთ წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა - იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც მომავალში სხვადასხვა პრესტიჟულ საერთაშორისო უნივერსიტეტებში გააგრძელებენ უმაღლესი განათლების მიღებას და უკეთეს მომავალს შექმნიან.

სკოლის ღირებულებებია:

- კომპეტენცია;
- სანდობა;
- მზრუნველობა;
- მუდმივი განვითარება;
- სამართლიანობა;
- ურთიერთთანამშრომლობა და კეთილგანწყობილი გარემო.

სკოლის მიზნებია:

1. სასწავლო პროცესის წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანების შესაბამისად;

2. მოსწავლეების აღჭურვა აუცილებელი ცოდნითა და უნარებით, რომლებიც ნებისმიერ გარემოში ადაპტირებას, საკუთარი პოტენციალის რეალიზებასა და წარმატების მიღწევაში დაეხმარება;

3. ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის, მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების, ჩამოაყალიბა და განვითარება;
4. გარემოს მიმართ მოსწავლის აღქმისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება;
5. საგნების სიღრმისეულად სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ამოცანები:

1. სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმისა და სტანდარტების შესაბამისად წარმართვა;
2. საგნობრივ სასწავლო ოლიმპიადებში და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის ზრუნვა;
3. სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მიდგომების განხორციელება;
4. შესაბამისი პირობების შექმნა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის;
5. მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერებისა და კულტურულ ფასეულობათა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და კანონის მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბება;
6. მოსწავლეთა როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა;
7. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა;
8. პედაგოგების პროფესიული ზრდისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
9. სკოლის აღჭურვა სწავლების მაღალეფექტურობისათვის აუცილებელი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით;
10. სწავლის პროცესის ეფექტურობის გაზრდისათვის მშობლებთან თანამშრომლობის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
11. სკოლაში ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოზე ზრუნვა;

### 3. სკოლის ისტორია

**ინფორმაცია სკოლის შესახებ:**

- ❖ სკოლის დასახელება: სპს „ნუნუ ბეიტრიშვილი-პრომეთა“
- ❖ სკოლის სამართლებრივი ფორმა: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- ❖ სკოლის მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანი, მე-4 ბ მ/რ., (ნაკვ.08/017)
- ❖ დაარსების თარიღი: 1995 წ.

### ორგანიზაციული კულტურა

სკოლა მუშაობას წარმართავს განათლების რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად.

შექმნილია შემოქმედებითი, თანამშრომლობითი გარემო.

სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას და სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებათა დაცვას.

პრაქტიკაში ინერგება ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიები და ინოვაციები. პრაქტიკულადაა ხორცშესხმული მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება. ყველაფერი კეთდება მოზარდის ნიჭის, ინტერესების, სწავლის პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარებისათვის.

სკოლამ პირველადი ავტორიზაცია გაიარა 2011 წელს, ხოლო განმეორებითი - 2016 და 2022 წელს.

სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაეუფლონ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და პროგრამირების სხვადასხვა ენას.

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ხელოვნების, ჭადრაკის და კომპიუტერული ტექნიკის კაბინეტები. გაკვეთილებისგან თავისუფალ დროს სკოლაში ფუნქციონირებს წრეები და კლუბები.

სკოლა გამოირჩევა მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მეთოდით დაგეგმილი და განხორციელებული სასწავლო პროცესით, ინტერაქტიული და პროექტებით სწავლებით, ქართული ენის, უცხოური ენების და მათემატიკის გაძლიერებული სწავლებით (რომელიც მოიცავს კვირეული საათების რაოდენობის გაზრდას და შესაბამისი ცვლილებების ასახვას საგნობრივ კურიკულუმებში), ფინანსური წიგნიერების უნარების განსავითარებელი პროგრამით, არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი მიმართულებებითა და სოციალური პროექტებით.

სკოლის არაერთმა მოსწავლემ მოიპოვა გამარჯვება სასკოლო ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში თუ სხვა კონკურსებზე - ყოველ წელს იღებენ მონაწილეობას სკოლის მოსწავლეები ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში და ყოველ წელს ჰყავს სკოლას ათეულში, ხუთეულში ან სამეულში მოხვედრილი მოსწავლეები.

პედაგოგიური კოლექტივი და ადმინისტრაცია ცდილობს გააგრძელოს სკოლის დიდი ტრადიციები და სკოლა უფრო მოწინავე და წარმატებული გახადოს.

## SWOT ანალიზი

### S - ძლიერი მხარეები

1. კვალიფიციური პერსონალი;

2. სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხი;
3. მაღალი შედეგები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე;
4. წარმატებები ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადებზე;
5. თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით წარმართული სასწ. პროცესი;
6. დისციპლინა;
7. სწავლების ინდივიდუალური მიდგომა;
8. უსაფრთხოების მაღალი ხარისხი:
  - 8.1. ადგილმდებარეობა - სკოლა მდებარეობს გზისგან მოშორებით, მშვიდ, ეკოლოგიურად სუფთა, გამწვანებულ ტერიტორიაზე;
  - 8.2. კაპიტალური ღობე;
  - 8.3. გამშვები პუნქტი;
  - 8.4. უსაფრთხოების სამსახური;
  - 8.5. აიპი კამერით კონტროლირებადი შესასვლელები;
  - 8.6. აიპი კამერით კონტროლირებადი შიდა და გარე პერიმეტრები;
  - 8.7. სათანადოდ აღჭურვილი ექიმის ოთახი;
9. 30 წლამდე ისტორია და მაღალი რეიტინგი;
10. ეფექტური და მოქნილი მენეჯმენტი;
11. ჯანსაღი კორპორატიული კულტურა;
12. პედაგოგებისათვის ინდივიდუალური სამუშაო სივრცე;
13. საგნობრივი კათედრების ინტეგრირებული მუშაობა;
14. გაკვეთილების შემდგომი დამატებითი, საკონსულტაციო, სარემედიაციო, კლუბური და წრეობრივი მუშაობა;
15. მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
  - 15.1. კომპიუტერებითა და საპრეზენტაციო ტექნიკით აღჭურვილი ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი;
  - 15.2. საპრეზენტაციო ტექნიკითა და თვალსაჩინოებებით აღჭურვილი საკლასო ოთახები;
  - 15.3. სკოლის შენობის WiFi-თა და ინტერნეტით სრული მოცვა;
  - 15.4. სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია;
  - 15.5. ბიბლიოთეკა, შესაბამისი წიგნადი ფონდითა და საპრეზენტაციო ტექნიკით აღჭურვილი სამკითხველოთი;
- 15.6. თანამედროვე და საპრეზენტაციო ტექნიკით აღჭურვილი სააქტო დარბაზი;
- 15.7. 2 დახურული სპორტული დარბაზი და ერთი ღია სპორტული მოედანი;
16. გახანგრძლივებული სწავლების სერვისი (მშობელთა საჭიროება/სურვილის შემთხვევაში);
17. პედაგოგებისა და მოსწავლეების წახალისების ეფექტური და მოქნილი სისტემა;
18. მრავალფეროვანი სასკოლო აქტივობები და ინოვაციური პროექტები;

19. მშობელთა აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში - (სხვადასხვა აქტივობები მშობელთა თანამონაწილეობით და მშობელთა კლუბი);

20. მოსწავლეთა ფინანსური წიგნიერების ამაღლებაზე ზრუნვა;

21. ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობების სრულად გამოყენება;

22. სოციალური პროექტები.

#### **W - სუსტი მხარეები**

1. სარეზერვო კადრების სიმცირე;
2. ქალაქის გარე უბანში მდებარეობა;
3. მოთხოვნის შესაბამისი ადგილების არარსებობა.

#### **O - შესაძლებლობები**

1. ახალი სერვისების შეთავაზება;
2. მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდა;
3. თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა;
4. გაცვლითი პროგრამები;
5. ინფრასტრუქტურის განვითარება.

#### **T - გარე საფრთხეები**

1. კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
2. არასტაბილური, სწრაფად ცვალებადი გარემო;
3. ლარის კურსის ცვლილება;
4. საკანონმდებლო ცვლილებები;
5. კომუნალური გადასახადების ზრდა.

## **უახლოესი 7 წლის სტრატეგიული მიზნები (მიმართულებები):**

- ❖ სასწავლო პროცესის ხარისხის და მიღწეული შედეგების გაუმჯობესება;
- ❖ ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა/შენარჩუნება;

- ❖ ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ;
- ❖ უსაფრთხო, ჯანსაღი, კეთილგანწყობილი და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

- ❖ სკოლის ორგანიზაციულ კულტურაზე ზრუნვა და განვითარება;
- ❖ მოსწავლეთა ჩართულობა;
- ❖ მშობელთა ჩართულობა;
- ❖ მოსწავლეების აღჭურვა 21-ე საუკუნის შესაბამისი აუცილებელი უნარებით და მათი ევროპასთან ინტეგრირების ხელშეწყობა.

სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს, სკოლის მისიის მიღწევას და ხედვის რეალიზებას. სკოლის ხედვის რეალიზებისთვის სკოლამ შეიმუშავა სასწავლო წლებზე გაწერილი 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია მიზნის შესაბამისი ამოცანები და აღნიშნული ამოცანების შესრულების პერიოდი.

#### **4. სტრატეგიული მიზნები და მიზნის შესაბამისი ამოცანები**

##### **5.1. სასწავლო პროცესის ხარისხისა და მიღწეული შედეგების გაუმჯობესება**

5.1.1. სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა

5.1.2. სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი (საფრთხეების საპრევენციოდ და მყისიერი რეაგირებისათვის);

5.1.3. მოსწავლეთა სამოტივაციო პოლიტიკისა და შესაბამისი აქტივობების მუდმივი დახვეწა-გაუმჯობესება;

5.1.4. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დინამიკის ზრდაზე ზრუნვა.

5.1.5. 21-ე საუკუნის უნარების გამომუშავებაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება.

5.1.6. მოსწავლეთა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და საგნობრივ ოლიმპიადებზე მიღწეული შედეგების მუდმივი გაუმჯობესება.

##### **5.2. ადამიანური რესურსების განვითარება**

5.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დახვეწა/გაუმჯობესება/განვითარება;

5.2.2. განვითარებაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა;

5.2.3. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;

5.2.4. გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების წახალისება/ხელშეწყობა;

##### **5.3. ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ;**

5.3.1. სკოლის შენობის განახლება/რემონტი (საჭიროებისამებრ);

- 5.3.2. ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა;
- 5.3.3. საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსების განახლება/შეცვლა;
- 5.3.4. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დახვეწა;
- 5.3.5. მატერიალური რესურსების განახლება/შეცვლა;
- 5.3.6. ახალ ტერიტორიებზე სკოლის აშენება/გახსნაზე ზრუნვა.
- 5.4. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;**
  - 5.4.1. სკოლის უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესება;
  - 5.4.2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
  - 5.4.3. უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
  - 5.4.4. უსაფრთხოების მიზნით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;
  - 5.4.5. შიდა სასკოლო კულტურის გაუმჯობესება.
- 5.5. სკოლის ორგანიზაციულ კულტურაზე ზრუნვა და განვითარება;**
  - 5.5.1. სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობითი ურთიერთობების გაუმჯობესება/ხელშეწყობა;
  - 5.5.2. საკომუნიკაციო მექანიზმებისა და არხების გაუმჯობესება/ეფექტიანად გამოყენება;
  - 5.5.3. მშვიდი, შედეგზე ორიენტირებული, კომფორტული გარემოს შენარჩუნება/გაუმჯობესება;
  - 5.5.4. წახალისებისა და მოტივირების მოქნილი სისტემის შენარჩუნება/გაუმჯობესება.
- 5.6. მოსწავლეთა ჩართულობა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება;**
  - 5.6.1. მოსწავლეთა თვითმართველი ორგანოს, დესპანთა გაერთიანების მუშაობის ხელშეწყობა;
  - 5.6.2. მოსწავლეთა ინიციატივებისა და ჩართულობის წახალისება;
- 5.7. მშობელთა ჩართულობა;**
  - 5.7.1. მშობლებთან საკომუნიკაციო გზების დახვეწა;
  - 5.7.2. მშობელთა კომიტეტის საქმიანობის წახალისება;
  - 5.7.3. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის წახალისება/მოტივირება;
- 5.8. მოსწავლეების აღჭურვა 21-ე საუკუნის შესაბამისი აუცილებელი უნარებით და ევროპასთან ინტეგრირების ხელშეწყობა;**
  - 1.8.1.1. საერთაშორისო კავშირების დამყარება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
  - 5.8.2. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველთა ხელშეწყობა;
  - 5.8.3. პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ხელშეწყობა;
  - 5.8.4. ცხოვრებისეული და ლიდერული უნარების განვითარების ხელშეწყობა.



სტრატეგიული მიზნები	1. სასწავლო პროცესის ხარისხის და მიღწეული შედეგების გაუმჯობესება;	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანები	1. სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა							
	2. სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი (საფრთხეების საპრევენციოდ და მყისიერი რეაგირებისათვის);							
	3. მოსწავლეთა სამოტივაციო პოლიტიკისა და შესაბამისი აქტივობების მუდმივი დახვეწა-გაუმჯობესება;							
	4. 21-ე საუკუნის უნარების გამომუშავებაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება.							
	5. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დინამიკის ზრდაზე ზრუნვა.							
	6. მოსწავლეთა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და საგნობრივ ოლიმპიადებზე მიღწეული შედეგების მუდმივი გაუმჯობესება.							

სტრატეგიული მიზნები	2. ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა/შენარჩუნება;	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანები	1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დახვეწა/გაუმჯობესება/განვითარება;							
	2. განვითარებაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა;							
	3. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;							
	4. გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების წახალისება/ხელშეწყობა;							

სტრატეგიული მიზნები	3. ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანები	1. სკოლის შენობის განახლება/რემონტი (საჭიროებისამებრ);							
	2. ინფრასტრუქტურის კეთიმოწყობა;							
	3. საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსების განახლება/შევსება;							
	4. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დახვეწა;							
	5. მატერიალური რესურსების განახლება/შევსება							
	6. ახალ ტერიტორიებზე სკოლის აშენება/გახსნაზე ზრუნვა.							

სტრატეგიული მიზნები	4. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანები	1. სკოლის უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესება;							
	2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;							
	3. უსაფრთხოების ნორმების დაცვა;							
	4. უსაფრთხოების მიზნით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;							
	5. შიდა სასკოლო კულტურის გაუმჯობესება.							

სტრატეგიული მიზნები	5. სკოლის ორგანიზაციულ კულტურაზე ზრუნვა და განვითარება;	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
<b>ამოცანები</b>	1. სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობითი ურთიერთობების გაუმჯობესება/ხელშეწყობა							
	2. საკომუნიკაციო მექანიზმებისა და არხების გაუმჯობესება/ეფექტიანად გამოყენება;							
	3. მშვიდი, შედეგზე ორიენტირებული, კომფორტული გარემოს შენარჩუნება/გაუმჯობესება;							
	4. წახალისებისა და მოტივირების მოქნილი სისტემის შენარჩუნება/გაუმჯობესება.							

სტრატეგიული მიზანი	6. მოსწავლეთა ჩართულობა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანები	1. მოსწავლეთა თვითმართველი ორგანოს, დესპანთა გაერთიანების მუშაობის ხელშეწყობა;							
	2. მოსწავლეთა ინიციატივებისა და ჩართულობის წახალისება;							

სტრატეგიული მიზნები	7. მშობელთა ჩართულობა	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანები	1. მშობლებთან საკომუნიკაციო გზების დახვეწა;							
	2. მშობელთა კომიტეტის საქმიანობის წახალისება;							
	3. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის წახალისება/მოტივირება;							

სტრატეგიული მიზნები	8. მოსწავლეების აღჭურვა 21-ე საუკუნის შესაბამისი აუცილებელი უნარებით და მათი ევროპასთან ინტეგრირების ხელშეწყობა	შესრულების პერიოდი						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
აამოცანები	1. საერთაშორისო კავშირების დამყარება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;							
	2. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველთა ხელშეწყობა;							
	3. პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ხელშეწყობა;							
	4. ცხოვრებისეული და ლიდერული უნარების განვითარების ხელშეწყობა.							